;

MFA of Georgia
Digitally signed by MFA of Georgia
Date: 2022.02.21 15:18:47 +04'00'

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამაგრილებელი ჯგუფების (კონდიციონერების) შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (50730000) ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვის შესახებ
ოქმი#01

ქ. თბილისი **2022 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის წევრები:

1. **ვლადიმერ კონსტანტინიდი** - მინისტრის მოადგილე, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. **გიორგი ნაცვლიშვილი** - ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორი, სატენდერო კომისიის წევრი;
3. **მამუკა ბარათაშვილი** - ადმინისტრაციული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, სატენდერო კომისიის წევრი;
4. **თეა ლეკვეიშვილი** - იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი, სატენდერო კომისიის წევრი;
5. **მაკა სოხაძე** - სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), სატენდერო კომისიის წევრი;
6. **ედუარდ ალიკიანი**- მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი), სატენდერო კომისიის წევრი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

1. **ანა ხარებავა** - სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) სატენდერო კომისიის აპარატის წევრი;
2. **გიორგი მაკასარაშვილი** - სახელმწიფო შესყიდვების უზრუნველყოფის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამაგრილებელი ჯგუფების შეკეთების და ტექნიკური მომსახურებების (CPV50730000) შესყიდვის მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება.

მოისმინეს:

სატენდერო კომისიის წევრებს გადაეცათ სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.

განიხილეს და იმსჯელეს:

წარმოდგენილი სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია შეესაბამება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებულ ,,ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესს''.

კომისიის მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება და დადგინდა:

1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სატენდერო კომისიამ დაამტკიცა წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი.
2. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებად განისაზღვროს 6000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
3. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 9186 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
4. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 12^1 მუხლის მე-2 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-15 და მე-16 მუხლების შესაბამისად, უზრუნველყოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების და ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების ქართულ ენაზე განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

ვლადიმერ კონსტანტინიდი

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ნაცვლიშვილი

კომისიის წევრი

მამუკა ბარათაშვილი

კომისიის წევრი

თეა ლეკვეიშვილი

კომისიის წევრი

მაკა სოხაძე



კომისიის წევრი

ედუარდ ალიკიანი

კომისიის წევრი

ანა ხარებავა

კომისიის აპარატის წევრი

გიორგი მაკასარაშვილი

კომისიის აპარატის წევრი